სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის

ბრძანება №89

ქ. თბილისი

29 ივნისი 2018 წ.

„2018 წლის ევროკავშირის კვლევისა და ინოვაციის ჩარჩო პროგრამა „ჰორიზონტი 2020"-ში საქართველოს მეცნიერთა მონაწილეობის ხელშეწყობის სახელმწიფო საგრანტო კონკურსის გამოცხადების შესახებ" სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2018 წლის 15 მარტის №30 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის № 62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე" ქვეპუნქტის თანახმად და სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის საერთაშორისო ურთიერთობებისა და ფონდების მოზიდვის სამსახურის სპეციალისტის სამსახურებრივი ბარათის (№831035, 29.06.2018) საფუძველზე

ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება „2018 წლის ევროკავშირის კვლევისა და ინოვაციის ჩარჩო პროგრამა „ჰორიზონტი 2020"-ში საქართველოს მეცნიერთა მონაწილეობის ხელშეწყობის სახელმწიფო საგრანტო კონკურსის გამოცხადების შესახებ" სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2018 წლის 15 მარტის №30 ბრძანების დანართ 1-ში - „2018 წლის ევროკავშირის კვლევისა და ინოვაციის ჩარჩო პროგრამა „ჰორიზონტი 2020"-ში საქართველოს მეცნიერთა მონაწილეობის ხელშეწყობის სახელმწიფო საგრანტო კონკურსის პირობები" და მე-6 მუხლის „ზ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
   „ზ) 2018 წლის ივნისი - აგვისტო - კონკურსის პირობების დაცვით რეგისტრირებული პროექტების შეფასება და გამარჯვებულთა გამოვლენა და ფონდის გენერალური დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცება."
2. შევიდეს ცვლილება „2018 წლის ევროკავშირის კვლევისა და ინოვაციის ჩარჩო პროგრამა „ჰორიზონტი 2020"-ში საქართველოს მეცნიერთა მონაწილეობის ხელშეწყობის სახელმწიფო საგრანტო კონკურსის გამოცხადების შესახებ" სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2018 წლის 15 მარტის №30 ბრძანების დანართ 1-ში - „2018 წლის ევროკავშირის კვლევისა და ინოვაციის ჩარჩო პროგრამა „ჰორიზონტი 2020"-ში საქართველოს მეცნიერთა მონაწილეობის ხელშეწყობის სახელმწიფო საგრანტო კონკურსის პირობები" და მე-6 მუხლის „თ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„თ) 2018 წლის აგვისტო - სექტემბერი - კონკურსის შედეგების გამოქვეყნება."

3. შევიდეს ცვლილება „2018 წლის ევროკავშირის კვლევისა და ინოვაციის ჩარჩო პროგრამა „ჰორიზონტი 2020"-ში საქართველოს მეცნიერთა მონაწილეობის ხელშეწყობის სახელმწიფო საგრანტო კონკურსის გამოცხადების შესახებ" სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2018 წლის 15 მარტის №30 ბრძანების დანართ 1-ში - „2018 წლის ევროკავშირის კვლევისა და ინოვაციის ჩარჩო პროგრამა „ჰორიზონტი 2020"-ში საქართველოს მეცნიერთა მონაწილეობის ხელშეწყობის სახელმწიფო საგრანტო კონკურსის პირობები" და მე-6 მუხლის „ი" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„ი) 2018 წლის აგვისტო - სექტემბერი - გამარჯვებული პროექტ(ებ)ის წამყვან და თანამონაწილე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ორგანიზაციასთან, ძირითად პერსონალთან და მეცნიერთან საგრანტო ხელშეკრულების გაფორმება."
4. დაევალოს სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის (შემდგომში: ფონდი) საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს წინამდებარე ბრძანების ფონდის ვებგვერდზე განთავსება;
5. ბრძანება ძალაშია ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. № 6)

ნინო გაჩეჩილაძე
გენერალური დირექტორის
მოვალეობის შემსრულებელი